საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

# განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 885/ი

25 09 2019წ.

ქ. თბილისი

**პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტთა კორპუსის წევრების საქმიანობის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის მოადგილის 2019 წლის 24 სექტემბრის №1255311 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, ცენტრის დირექტორის 2019 წლის 15 მაისის №372/ი ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის" მე-10 მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების" მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტთა კორპუსის წევრების საქმიანობის ანაზღაურების წესი ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის:. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი ეკატერინე ბაღიშვილი

დანართი

**პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტთა კორპუსის წევრების საქმიანობის ანაზღაურების წესი**

**მუხლი 1. რეგულირების სფერო**

ეს წესი არეგულირებს პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტთა კორპუსის (შემდგომში - ექსპერტთა კორპუსი) წევრების საქმიანობის ანაზღაურების წესსა და პირობებს.

**მუხლი 2. ექსპერტის საქმიანობის ანაზღაურება**

1. ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებით (შემდგომში - დადგენილება) გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში - ექსპერტის ანაზღაურება გამოითვლება ნამუშევარი დღეების მიხედვით. სამუშაოსათვის ასანაზღაურებელი დღეების რაოდენობა განისაზღვრება ცენტრის დირექტორის იდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით.

2. ექსპერტისთვის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დღიური ანაზღაურება შეადგენს 100 ლარს (კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით).

**მუხლი 3. ექსპერტის საქმიანობის ანაზღაურების პირობები**

1. ექსპერტთა კორპუსის წევრების საქმიანობის ანაზღაურება ხდება ამ წესის შესაბამისად, დადგენილებით გათვალისწინებული ცენტრის დირექტორის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

2. ექსპერტზე ამ წესით გათვალისწინებული ანაზღაურება გაიცემა მხოლოდ მისი მოვალეობის ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, შემდეგი პრინციპით: 70% - ცენტრში ექსპერტის/ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის წარმოდგენის საფუძველზე, ხოლო 30% - პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების მიზნით შექმნილ საბჭოს სხდომაზე დასწრების, მათ შორის, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით შესაბამისი საკითხის განხლვაში მონაწილეობის მიღების საფუძველზე. ექსპერტს შრომის ანაზღაურების 30% არ დაექვითება, თუ იგი ვერ უზრუნველყოფს შესაბამისი საბჭოს სხდომაზე დასწრებას/შესაბამისი საკითხის განხილვაში მონაწილეობის მიღებას იმ საფუძვლით, რომ საბჭოს სხდომის ჩატარებამდე შეწყდა შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოება.

2[1]. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის დამატებითი უფლების მოპოვების გარეშე განხორციელების პირობების შესრულების მონიტორინგის ფარგლებში, ექსპერტზე სრულად გაიცემა ანაზღაურება მისი მოვალეობის ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, ცენტრში ექსპერტის მიერ საბოლოო სახით ჩამოყალიბებული შესაბამისი დასკვნის წარმოდგენის საფუძველზე.

3. ექსპერტის შრომის ანაზღაურება ხორციელდება შესაბამის საკითხთან დაკავშირებით საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან ან ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

4. ექსპერტის სამივლინებო ხარჯები ანაზღაურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. ექსპერტთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, თანხის მის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე შეტანის გზით.

**მუხლი 4. ინფორმაციის მიწოდება**

პროცესის ადმინისტრირებაზე პასუხიმგებელი თანამშრომლები ვალდებულნი არიან ამ წესით გათვალისწინებული ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია ცენტრის მიერ ფინანსური ვალდებულებების დროული შესრულებისათვის, მიღებისთანავე წარუდგინონ ცენტრის ფინანსური უზრუნველყოფის სამმართველოს.